საჯარო
სამსახურის
ბიურო

ეფექტური და გამჭვირვალე
საჯარო მმართველობა

KA040129273610613

საქართველო, თბილისი, 0134, ინგოროყვას ქ №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: csb@csb.gov.ge;
www.csb.gov.ge

**№ გ536** **22 / თებერვალი / 2013 წ.**

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს – საქართველოს მთავრობის კანცე–ლარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ შალვა თადუმაძეს

ბატონო შალვა,

თქვენს მიერ 2013 წლის 15 თებერვალს გამოგზავნილი წერილის N5385 პასუხად, გიგზავნით, საჯარო სამსახურის ბიუროს კომენტარებს „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებზე - "პარტნიორობა ღია მმართველობისთვის" (Open Government Partnership) საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით".

დანართი: 5გვ.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი ირაკლი კოტეტიშვილი

9809
19 03 3
6

საჯარო
სამსახურის
ბიურო

ეფექტური და გამჭვირვალე
საჯარო მმართველობა

# საჯარო სამსახურის ბიუროს კომენტარები

## „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები - "პარტნიორობა ღია მმართველობისთვის" (Open Government Partnership) საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით"

თებერვალი, 2013

## III. გამჭვირვალე საჯარო სამსახური

- **“გაუმჯობესდეს მამხილებელთა (whistleblowers) დაცვის კანონმდებლობა და ამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ ორგანოთა შიდა სახელმძღვანელო პრინციპები.”**

საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა კანონპროექტი "მამხილებელთა დაცვის" შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან დებულებებს ითვალისწინებს მამხილებელთა დაცვის კუთხით. კანონპროექტით იკრძალება მამხილებელზე ნებისმიერი არამართლზომიერი ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება და წესდება პასუხისმგებლობის ზომები ასეთი ქმედებების განხორციელებისათვის. არსებული მამხილებელთა დაცვის შესახებ ნორმები „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში არ არის ამომწურავი და ვერ უზრუნველყოფს მამხილებელთა დაცვის გარანტიებს, შესაბამისად ცალკე კანონის მიღებით მოხდება არსებული მამხილებელთა დაცვის მექანიზმების მნიშვნელოვნად გაძლიერება.

**კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ სიახლეებს:** 1. მამხილებელთა დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პირების გარდა გავრცელდება, ასევე, სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებზეც და იქ დასაქმებულ პირებზეც; 2. მამხილებლის მიერ მხილების საჩივრის განხილვის პროცედურები, ვადები, უფლებამოსილი პირები და მასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება დეტალურად, მაშინ როცა არსებული კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს მსგავს ნორმებს; 3. კანონპრექტის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო იქნება ის ზემდგომი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც მიიღებს მხილებასთან დაკავშირებულ საჩივრებს, ასევე მას ექნება უფლებამოსილება, განიხილოს მხილების შესახებ საჩივარი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. 4. კანონპროექტის თანახმად, ასევე, დაევალება საჯარო სამსახურის ბიუროს, შექმნას საჩივრის განმხილველი ორგანოსათვის სახელმძღვანელო პრინციპები მხილების ფაქტის ეფექტური გამოკვლევისა და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რასაც თან უნდა დაერთოს სათანადო ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება ”მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის“ შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ტექნიკური დახმარების სამსახურის SIGMA–ს მხარდაჭერით საჯარო სამსახურის ბიურომ ასევე ჩაატარა სემინარი თემაზე ,,მამხილებელთა და მოწმეთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება კორუფციულ შემთხვევებში'' 2012 წლის გაზაფხულზე. სემინარის მიზანი იყო მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რის საფუძველზეც მოხდა „მამხილებელთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის დახვეწა–განვითარება საჯარო სამსახურის ბიურო მიერ.

**პასუხისმგებელი ორგანო: საქართველო მთავრობის კანცელარია/იუსტიციის სამინისტრო/საჯარო სამსახურის ბიურო.**
**განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი**

- **"გაფართოვდეს იმ თანამდებობის პირთა სია, ვისი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებიც ექვემდებარება დეკლარაციების საძიებო სისტემაში გამოქვეყნებას - www.declaration.ge (ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი და მათი მოადგილეები, საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეები, სამინისტროების ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სახელმწიფოს 100 % წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელები)."**

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით თანდათანობით იზრდება იმ თანამდებობის პირთა სია, ვისთვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსება. ბიუროს ავტორობით სადეკლარაციო თანამდებობათა სია ბოლო საკანონმდებლო ცვლილებით გაიზარდა 300 კაცით და დღეისთვის უკვე 2,800–ზე მეტ თანამდებობის პირს ეკისრება დეკლარაციის შევსების ვალდებულება. თუმცა, კვლავ აუცილებელია მოხდეს იმ პირთა უფრო ფართო წრის შექმნა, რომლებიც კორუფციის უფრო მაღალი რისკის შემცველ პოზიციებზე იმყოფებიან და მათ დაეკისროთ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება.

საჯარო სამსახურის ბიურომ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები და მოამზადა კანონპროექტი - "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტის თანახმად დეკლარაციის შევსების ვალდებულება დაეკისრებათ შემდეგ თანამდებობის პირებს: ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს და მათ მოადგილეებს, საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეებს, სამინისტროების ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებს.

**პასუხისმგებელი ორგანო: საჯარო სამსახურის ბიურო**
**განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის მარტი**

- **“შეიქმნას საჯარო თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების აუდიტის სისტემა. აუდიტის ვადები და ინფორმაცია აუდიტის შედეგების შესახებ უნდა გახდეს საჯარო. სავალდებულო აუდიტი აგრეთვე უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ თანამდებობის პირის დეკლარაციის გადამოწმების მოთხოვნით საჯარო სამსახურის ბიუროში შესული იქნება ფიზიკური/იურიდიული პირის დასაბუთებული მოთხოვნა, აუდიტის საფუძველი შეიძლება აგრეთვე გახდეს მედია საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია.”**

საქართველოში მოქმედებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების გამჭვირვალე, ელექტრონული სისტემა. მიუხედევად ამისა, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია დეკლარაციების მონიტორინგის შემოღება, რაც შეამცირებს კორუფციის რისკს საქართველოს საჯარო სამსახურში. აღნიშნული სისტემის დანერგვის ვალდებულება საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიითაც არის განსაზღვრული.

საჯარო სამსახურის ბიუროს აუდიტის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული აქვს კვლევა, რომელიც მიმოიხილავს თანამდებობის პირთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების მექანიზმებსა და შემოწმების

კრიტერიუმებს სხვადასხვა ქვეყნებში. აღნიშნული კვლევა დახმარებას გაგვიწევს ეფექტური სისტემის შერჩევისას.

აუცილებელია, მიღებულ იქნას მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რის საფუძველზეც შეიქმნება გარკვეული უწყება ან რომელიმე სამსახურს დაეკისრება ვალდებულება, მონიტორინგის წარმოების. საჯარო სამსახურის ბიუროს მიაჩნია რომ, უმჯობესია საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად საკანონმდებლო პროექტი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შექმნის თაობაზე. მსგავსი დათქმა ჩაიდო კანონპროექტში - "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვილებების შეტანის შესახებ.

**პასუხისმგებელი ორგანო: საჯარო სამსახურის ბიურო**
**განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი**